პარასკევის ქადაგება

2023/9/1 م | ١٤٤٥/٢/١٦ هـ

პატივცემული შეიხ
დოქტორი

აბდულ მუჰსინ ბნუ
მუჰამმად ალ-ყაასიმ

სათაურით

მართალი სიზმარი

a-alqasim.com

მართალი სიზმარი

ჭეშმარიტად დიდება ეკუთვნის ალლაჰს, მას ვადიდებთ, მას მთხოვთ დახმარებას, მას ვთხოვთ პატიებას. ალლაჰს შევეფარებით ჩვენი სულების სიავისგან და ჩვენი ცუდი საქმეებისგან. ვისაც ალლაჰი დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე, მას ვერავინ აუბნევს გზას, ხოლო ვისაც დატოვებს გზააბნევაში, ვერავინ დაადგენს სწორ გზაზე. ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღვთაება ღირსეული თაყვანისცემისა, გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი. და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მონა და მოციქულია. ალლაჰმა დალოცოს ის, მისი ოჯახი და მისი საჰაბები.

ამის შემდეგ:

გეშინოდეთ ალლაჰის - ალლაჰის მსახურნო - ჭეშმარიტი შიშით, გეშინოდეთ აშკარადაც და ფარულადაც.

ჰეი მუსლიმებო: ალლაჰმა სრულად გარდმოავლინა თავისი მოწყალება მის მსახურებზე აშკარა თუ ფარული. სიფხიზლეშიც და სიზმარშიც ყოვლად ქებული ალლაჰი განაგებს მას დღისითაც და ღამესაც. ალლაჰმა თავისი სიბრძნით დაფარა ფარული მისი ქმნილებებისთვის და არ არის გზა ფარულის გასაგებად, გარდა იმისა, რაც ამცნო მათ გზავნილით.

თქვა წმინდა ალლაჰმა:

﴿عَٰلِمُ ٱلۡغَيۡبِ فَلَا يُظۡهِرُ عَلَىٰ غَيۡبِهِۦٓ أَحَدًا ۞

إِلَّا مَنِ ٱرۡتَضَىٰ مِن رَّسُولٖ فَإِنَّهُۥ يَسۡلُكُ مِنۢ بَيۡنِ يَدَيۡهِ وَمِنۡ خَلۡفِهِۦ رَصَدٗا﴾

„იგია მცოდნე დაფარულისა. და არ აცნობებს დაფარულს არავის. გარდა იმისა, ვისითაც კმაყოფილია შუამავალთაგან. და იგი დაატარებს მის წინაშე და მის უკან მეთვალყურეებს“.

ალლაჰის ფარული მოწყალებიდან და საოცრებებიდან არის, რომ შუამავლობისგან დატოვა ნაწილი ფარულის შესაცნობად: მათთვის, ვისთვისაც ისურვებს ალლაჰისა მათ სიზმრებში. თქვა შუამავალმა ﷺ : „არ რჩება წინასწარმეტყველობიდან, გარდა მახარობლებისა : უთხრეს რა არის მახარობელი ? თქვა : მართალი სიზმარი“. (გადმოცემულია ბუხარისაგან), მასში არის ალლაჰის ცოდნის მშვენიერება, რითაც ემატება მორწმუნეებს რწმენა, და ამცნობს მათ წარსულზე , აწმყოზე და მომავალზე ,რაც

ათავისუფლებს მათ ცრუ წინასწარმეტყველებისგან და მასში სიკეთისკენ წაქეზება, გაფრთხილება სიავისაგან, უბედურებისგან და სასიხარულო ცნობა.

სიზმარს აქვს უდიდესი ადგილი შარიათში და ის შუამავლებთან ერთად არის უძლიერესი მოვლენა და გამოცდა. და ის არის ზეშთაგონება მხოლოდ მათზე; უთხრა იბრაჰიმმა ისმაილს ალლაჰის მშვიდობა მათ:

﴿يَٰبُنَيَّ إِنِّيٓ أَرَىٰ فِي ٱلۡمَنَامِ أَنِّيٓ أَذۡبَحُكَ﴾

„ჩემო ძეო, მე ვხედავ სიზმრად, რომ უთუოდ მსხვერპლად უნდა შეგწირო“.

ალლაჰმა აამაღლა იბრაჰიმის ადგილი მისი მართალი სიზმრით, თავის ღმერთზე მორჩილებით და დაუტოვა მას მართალი შთამომავლობა, დატოვა ის მარად ქებული თაობიდან თაობამდე, თქვა წმინდა ალლაჰმა:

﴿وَتَرَكۡنَا عَلَيۡهِ فِي ٱلۡأٓخِرِينَ ۞ سَلَٰمٌ عَلَىٰٓ إِبۡرَٰهِيمَ ۞ كَذَٰلِكَ نَجۡزِي ٱلۡمُحۡسِنِينَ﴾

„ და დავტოვეთ მისი ხსოვნა მომდევნო თაობებში. სალამი იბრაჰიმს. ამგვარად ვუზღავთ კეთილისმქმნელთ“.

იუსუფმა ღმერთის მშვიდობა მას, მისი ცხოვრება დაიწყო სიზმრით :

﴿يَٰٓأَبَتِ إِنِّي رَأَيۡتُ أَحَدَ عَشَرَ كَوۡكَبٗا وَٱلشَّمۡسَ وَٱلۡقَمَرَ رَأَيۡتُهُمۡ لِي سَٰجِدِينَ﴾

„ჰეი, მამიკო! მე დავინახე თერთმეტი ვარსკვლავი, მზე და მთვარე. დავინახე ისინი ჩემთვის ასრულებდნენ სუჯუდს“.

ახდა მისი სიზმარი ალლაჰის დიდებით და აამაღლა ის.

﴿وَرَفَعَ أَبَوَيۡهِ عَلَى ٱلۡعَرۡشِ وَخَرُّواْ لَهُۥ سُجَّدٗاۖ﴾

„აიყვანა მან თავისი მშობლები ტახტზე და მათ აღასრულეს მისთვის (მისალმებითი) სეჯდე“.

პირველი სიკეთე და სინათლე ამ უმმათის იყო სიზმარი, თქვა აიშამ ალლაჰი იყოს მისი კმაყოფილი: პირველი რითაც დაეწყო ზეშთაგონება შუამავალს ﷺ იყო მართალი სიზმარი ძილში, და არ ხედავდა სხვა რამეს გარდა იმისა, რაც მსგავსი იყო დილის გარიჟრაჟისა. (შეთანხმებული)

ბადრის ბრძოლაში ალლაჰმა დაანახა მის შუამავალს ﷺ გამარჯვება სიზმარში და მაცნო მან ის თავის საჰაბეებს, გაამაგრა მათი გულები გამოიჩინეს გულადობა მტრი წინააღმდეგ ბრძოლაში.

﴿إِذۡ يُرِيكَهُمُ ٱللَّهُ فِي مَنَامِكَ قَلِيلٗاۖ وَلَوۡ أَرَىٰكَهُمۡ كَثِيرٗا لَّفَشِلۡتُمۡ وَلَتَنَٰزَعۡتُمۡ فِي ٱلۡأَمۡرِ وَلَٰكِنَّ ٱللَّهَ سَلَّمَۚ﴾

„და გიჩვენა ალლაჰმა შენ ძილში ისინი ცოტად, და მრავალრიცხოვნად რომ მოეჩვენებინა, შეკრთებოდით და კამათს მოჰყვებოდით ერთმანეთში ამ საქმეზე მაგრამ ალლაჰმა სიმშვიდე დაამკვიდრა“.

და დაანახა ალლაჰმა თავის შუამავალს მექქას აღება, როცა ის მედინაში იყო, და ეს იყო მათთვის სამახარობლო.

﴿لَّقَدۡ صَدَقَ ٱللَّهُ رَسُولَهُ ٱلرُّءۡيَا بِٱلۡحَقِّۖ لَتَدۡخُلُنَّ ٱلۡمَسۡجِدَ ٱلۡحَرَامَ إِن شَآءَ ٱللَّهُ ءَامِنِينَ مُحَلِّقِينَ رُءُوسَكُمۡ وَمُقَصِّرِينَ لَا تَخَافُونَۖ﴾

„ვფიცავ, აუცხადა ალლაჰმა თავის შუამავალს მისი სიზმარი ჭეშმარიტებით: უსათუოდ შეხვალთ ალ-მასჯიდ ალ-ჰარამში, თუკი ალლაჰი ინებებს, უსაფრთხონი, თავგადაპარსულნი და გაკრეჭილნი. მან უწყოდა, რაც თქვენ არ იცოდით. და გიბოძათ ახლო გამარჯვება“. აუცხადა მას ალლაჰმა ერთი წლის შემდეგ.

შუამავალი ﷺ როცა დაინახავდა სიზმარს მოუყვებოდა მას თავის საჰაბებს. და როცა ის ილოცებდა დილის ლოცვას მიბრუნდებოდა მისი საჰაბებისკენ და შეეკითხებოდა მათ: „თქვენგან რომელიმემ ნახა წუხელ სიზმარი?“. (შეთანხმებული)

იბნ ზაიდის სიზმარი ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი:“როცა გავიღვიძე დილით მივედი შუამავალთან ﷺ და ვამცნე მას, რაც ვნახე და მითხრა : ჭეშმარიტად ის მართალი სიზმარია ალლაჰის ნებით, წადი ბილალთან და მოუყევი რაც ნახე და გააკეთოს მან აზანი“. (გადმოსცა აჰმადმა) თქვა იბნ აბდულ ბარმა: „შეთანხმდენ ჭეშმარიტ გზაზე მავალი იმამები საჰაბეებიდან, თაბიინებიდან და ვინც მათ შემდეგ იყო მუსლიმი სწავლულებიდან აჰლუ სუნნა ვალ ჯამაა მის რწმენაზე და დაჯერებაზე“.

სიზმარი შედგება სამი ნაწილისაგან; მათგან ერთი რომელიც აუცილებლად ახდება, სატანისაგან ან შერეული სიზმარი, რომლისგანაც არაფერია მართალი. თქვა შუამავალმა ﷺ: „ სიზმარი არის სამი სახის: მართალი სიზმარი მახარობლად ალლაჰისგან, ცუდი სიზმარი სატანისგან და სიზმარი, რომლითაც კაცი ესაუბრება თავის თავს“. (გადმოსცა მუსლიმმა)

კარგი სიზმარი ახარებს მორწმუნეებს და არ ატყუებს მას, ის ნაწილია წინასწარმეტყველებიდან, თქვა შუამავალმა ﷺ:“ მორწმუნის სიზმარი წინასწარმეტყველების ერთ-ერთი ნაწილია“. (შეთანხმებული) და ის არის დარჩენილი მახარობელად შუამავლობის შემდეგ. შეკითხულ იქნა შუამავალზე ﷺ ალლაჰის სიტყვაზე:

﴿لَهُمُ ٱلۡبُشۡرَىٰ فِي ٱلۡحَيَوٰةِ ٱلدُّنۡيَا وَفِي ٱلۡأٓخِرَةِۚ﴾

„მათთვისაა სამახარობლო ამქვეყნად და იმქვეყნადაც“

და თქვა: „ ის მართალი სიზმარია, რომელსაც ნახულობს მუსლიმი ან ანახებს მას“. (გადმოსცა აჰმადმა)

მართალი სიზმარი წინასწარმეტყველების ნაწილია, ხოლო წინასწარმეტყველება არის ზეშთაგონება. სიზმრის მომტყუებელი არის მომტყუებელი ალლაჰზე და თქვა ის რაც არ უნახავს სინამვილეში. თქვა შუამავალმა ﷺ: „ჭეშმარიტად, უდიდესი ტყუილია, რომ თქვას იმაზე დავინახეო, რაც არ დაუნახავს“. (გადმოსცა ბუხარიმ)

განკითხვის დღეს მას უბრძანებენ გააკეთოს ის, რის გაკეთებასაც ვერ შეძლებს. თქვა შუამავალმა ﷺ : „იმას ვინც მოყვება სიზმარს, რომელიც არ უნახავს, დაევალება განკითხვის დღეს შეკოჭოს ერთმანეთში ხორბლის ორი მარცვალი, რომელსაც ის ვერასდროს შეძლებს“.

მართალი სიზმარი დამახასიათებელია მართალი ადამიანებისთვის, თუმცა მას ხედავენ სხვა ადამიანებიც. როგორც ახსნა იუსუფმა ციხეში მასთან ერთად მყოფი ორი კაცის სიზმარი და ის ასრულდა ისევე, როგორც მან ახსნა. ურწმუნო მეფის სიზმარი ორმოც ძროხაზე, რომელიც განმარტა იუსუფმა იყო ჭეშმარიტება და ახდა. თქვა ბუხარიმ თავის საჰიჰში: „თავი სუჯუდის ხალხის, უზნეო ხალხის და შირქის ხალხის სიზმრებზე“. და თქვა იბნ ჰაზმმა: „ურწმუნოების სიზმარი შეიძლება იყოს მართალი, თუმცა ის არ არის წინასწარმეტყველების ნაწილი და არც მახარობელი, არამედ ის არის გამაფრთხილებელი და დარიგება მათთვის და სხვებისთვის“.

დღისით ნანახი სიზმარი ისეთივე მართალია, როგორც ღამით ნანახი. შუამავალი ﷺ შევიდა უმ ჰარაამ ბინთ მილჰანთან, ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი, და დაიძინა მასთან შუადღისას, ნახა სიზმარი და მოუყვა მას. (შეთანხმებული)

ვინც დაინახავს სიზმარს და სურს რომ მიიღოს მასზე პასუხი, რომ დალოცოს ის ალლაჰმა და გაახაროს მისით მან უნდა მოუყვეს ის იმას, ვინც

უყვარს (და არ მოუყვეს მოშურნეს, მტერს და უცხოს). თქვა იაყუბმა, ალლაჰის მშვიდობა მას:

﴿قَالَ يَٰبُنَيَّ لَا تَقۡصُصۡ رُءۡيَاكَ عَلَىٰٓ إِخۡوَتِكَ فَيَكِيدُواْ لَكَ كَيۡدًاۖ﴾

„შვილო ჩემო! არ მოუყვე ეს შენი სიზმარი შენს ძმებს, თორემ მახეს დაგიგებენ“.

ვინც დაინახავს ცუდ სიზმარს შეეფაროს ალლაჰს მისი სიავისგან და ეშმაკის სიავისგან. გადააფურთხოს მარცხვნივ სამჯერ, შეიცვალოს მხარე რომელზეც იწვა, ილოცოს და არ მოუყვეს ის არავის. თქვა ან-ნავავიმ: „თუ ის შეასრულებს ნაწილს იმისგან საკმარისი იქნება მისთვის, რომ დაიცვას თავი იმ სიზმრის სიავისგან, როგორც გადმოსცემს ჰადისები“.

სიზმრის ახსნა მოდის შუამავლების ცოდნიდან და რწმენის ხალხიდან. ის არის იშვიათი და განსაკუთრებული მეცნიერება, რომელიც აერთიანებს ტალანტს, ცოდნას და მოწყალებას, რომელსაც ალლაჰი აძლევს იმას, ვისაც სურს. ალლაჰმა თქვა იუსუფის არჩევის დროს:

﴿وَلِنُعَلِّمَهُۥ مِن تَأۡوِيلِ ٱلۡأَحَادِيثِۚ﴾

„რათა გვესწავლებინა მისთვის სიზმრების ახსნა“.

სიზმრების ახსნა არ შეუძლია ყველას, ვისაც არ აქვს შესაბამისი ცოდნა. იუსუფმა უთხრა ორ ბიჭს:

﴿قُضِيَ ٱلۡأَمۡرُ ٱلَّذِي فِيهِ تَسۡتَفۡتِيَانِ﴾

„გადაწყვეტილია საქმე, რომლის ახსნასაც ითხოვდით“.

და თქვა მეფემ:

﴿أَفۡتُونِي فِي رُءۡيَٰيَ﴾

„განმიმარტეთ ჩემი სიზმარი“.

ბიჭმა უთხრა იუსუფს:

﴿أَفۡتِنَا فِي سَبۡعِ بَقَرَٰتٖ﴾

„აგვიხსენი რას ნიშნავს, შვიდ მსუქან ძროხას“.

სიზმრის ახსნა დადგენილია თავისი წესებით და მტკიცებულებებით შედარების მეშვეობით ნათელი გონების გამოხატვაზე. თქვა იბნ ალ-ყაიიმმა:

„ყურანის მაგალითებში სრულად არის მოცემული სიზმრის ახსნის მეცნიერების წესები და საფუძვლები. ვინც საუკეთესოდ მსჯელობს მასზე, ვინც საუკეთესოდ მიხვდა - მას შეუძლია ახსნას სიზმარი საუკეთესო ფორმით. სწორი განმარტების ფუძე აღებულია ყურანის ტექსტებიდან“.

ვისაც სურს, რომ განმარტოს სიზმარი, არ აახსნევინოს ის არავის, გარდა სიზმრის ახსნის მცოდნისა. ყველა, ვინც გახდა ცნობილი ან ასწავლის სხვებს ვერ ახსნის სიზმარს. ყველა, ვინც წაიკითხავს პატარა წიგნს - ვერ გახდება ამხსნელი. ყველა სიზმარს გააჩნია თავისი მდგომარეობა, დრო და ადგილი. (ანუ ამხსნელი ერთი ადამიანის მდგომარეობიდან აკვირდება და იმის მიხედვით ხსნის, ხოლო მეორესთვის იგივე სიზმარი სხვა დროში და სხვა ადგილას სხვანაირად აიხსნება). უთხრეს მალიქს, ალლაჰმა შეიწყალოს ის: „შეუძლია თუ არა სიზმრის ახსნა ყველას? მან უპასუხა: შეიძლება თუ არა წინასწარმეტყველობით თამაში?!“

ვისაც ალლაჰი აძლევს სიზმრის ახსნის შეძლებას, მას უნდა ეშინოდეს ალლაჰის, გაშორდეს თვალთმაქცობას და ვნებებს, შესთხოვოს ალლაჰს დახმარება და კეთილგონიერება, გაუფრთხილდეს პატივმოყვარეობას, რადგანაც ის არის ნაკლოვანება, რომელიც ანადგურებს მოწყალებას. ადიდე ალლაჰი ამ მოწყალებისთვის. თქვა იუსუფმა, მშვიდობა მას:

﴿رَبِّ قَدۡ ءَاتَيۡتَنِي مِنَ ٱلۡمُلۡكِ وَعَلَّمۡتَنِي مِن تَأۡوِيلِ ٱلۡأَحَادِيثِۚ﴾

„ღმერთო ჩემო! შენ მე მიბოძე ძალაუფლება და მასწავლე სიზმრების ახსნა“.

მართალი სიზმარი ფაქტია, რომელშიც არ არსებობს ეჭვი. მიუხედავად იმისა, განმარტა ის ვინმემ თუ არა. იაყუბმა უთხრა იუსუფს:

﴿لَا تَقۡصُصۡ رُءۡيَاكَ﴾

„არ მოუყვე ეს შენი სიზმარი“.

არ შეიძლება სიზმრის ახსნა ისე, რომ სრულად ახდეს. ამხსნელი, როდესაც განმარტავს სიზმარს ამბობს, თუ რაზე მიუთითებს ის და ზოგი შეიძლება ახდეს, ზოგიც შეცდეს. უთხრა შუამავალმა ﷺ აბუ ბაქრს სიზმრის ახსნის დროს : „ზოგი ავხსენი ზუსტად, ზოგშიც შევცდი“. (შეთანხმებული)

რაც შეეხება სიზმრის ახდენას, ის ხდება რეალურ დროში. შეიძლება დაგვიანდეს ცოტა ან დიდხანს. თქვა აბდულლაჰ იბნ შადაადმა, ალლაჰმა შეიწყალოს ის: „იუსუფის სიზმარი ახდა ორმოცი წლის შემდეგ, და ამით დასრულდა მისი ყველაზე შორეული სიზმარი“.

და იცოდეს მუსლიმმა, რომ ყველაფერში, რასაც მისცემს მას ალლაჰი - სიკეთეა. იქნება ის ადრე თუ გვიან.

და შემდეგ, ჰეი მუსლიმებო:

როდესაც წინასწარმეტყველები და მათი ეპოქა გახდა შორეული, ალლაჰმა მორწმუნეებს უბოძა სიზმრები. თქვა შუამავალმა ﷺ : „როდესაც მოახლოვდება დრო - ანუ განკითხვის საათი - მორწმუნეების სიზმარი არ იქნება ცრუ“. (შეთანხმებული)

რაც შეეხება წინასწარმეტყველების სიძლიერის დროს - არ იყო იმ დროს სიზმრის ახსნის საჭიროება. (იმიტომ რომ იყვნენ შუამავლები)

მართალი სიზმრის მფლობელი მართალია ფხიზელ დროს საუბრებშიც. თქვა შუამავალმა ﷺ : „სიზმარში მართალი - მართალია ცხადშიც“. (გადმოსცა მუსლიმმა)

თქვა იბნ ჰაჯარმა, ალლაჰმა შეიწყალოს ის: „ვინც მართალია ფხიზელ მდგომარეობაში, სიმართლე თან ახლავს მას სიზმარშიც, და არ ხედავს ის არაფერს სიმართლის გარდა, საწინააღმდეგოდ იმისა, ვინც არის მატყუარა და ცრუ - ის აფუჭებს თავის გულს და ვერ ხედავს ვერაფერს, გარდა სისულელისა და ტყუილისა“.

აუცილებელია, რომ საუბარში გამოიყენო მხოლოდ სიმართლე, ღვთისმოშიშობა, რაც მოგიტანს სიკეთეს ამქვეყნად და აახირეთშიც.

ალლაჰს შევეფარები ქვით ჩაქოლილი ეშმაკისგან

﴿وَرَفَعَ أَبَوَيۡهِ عَلَى ٱلۡعَرۡشِ وَخَرُّواْ لَهُۥ سُجَّدٗاۖ وَقَالَ يَٰٓأَبَتِ هَٰذَا تَأۡوِيلُ رُءۡيَٰيَ مِن قَبۡلُ قَدۡ جَعَلَهَا رَبِّي حَقّٗاۖ﴾

„აიყვანა მან თავისი მშობლები ტახტზე და მათ აღასრულეს მისთვის (მისალმებითი) სეჯდე. და უთხრა: ჰეი, მამაჩემო! ეს არის განმარტება იმისა, რაც უწინ სიზმრად ვნახე. ჩემმა ღმერთმა ცხადჰყო იგი“.

ალლაჰმა ბარაქა მოგვცეს მეც და თქვენც დიდებულ ყურანში...

მეორე ქადაგება

დიდება ალლაჰს მისი მოწყალებისთვის, მადლობა მას წარმატებისთვის და მადლიერებისთვის. ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღმერთი ღირსეული თაყვანისცემისა, გარდა ალლაჰისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი მის დედებულებაში. ვამოწმებ, რომ მოციქული მუჰამმადი მისი მონა და შუამავალია, ალლაჰმა დალოცოს ის, მისი ოჯახი და საჰაბები და მიესალმოს მათ უამრავი მისალმებით.

ჰეი მუსლიმებო:

რელიგია სრულყოფილი გახდა შუამავლის ﷺ სიკვდილთან ერთად. სიზმრით არ მტკიცდება რომელიმე დადგენილება თუ კანონი. თქვა შაატიბმა, ალლაჰმა შეიწყალოს ის: „მისი სარგებელი არის, რომ: სიზმარი მახარობელი და გამაფრთხილებელია კერძოდ. რაც შეეხება დადგენილების სარგებელს მისგან მაშინ - არა“.

ალლაჰმა დაიცვა ჩვენი შუამავალი ﷺ მუჰამმადი, რომ ეშმაკმა დაემსგავსოს მას, ვინც დაინახავს მას სიზმარში - დაინახა ნამდვილად. თქვა შუამავალმა ﷺ : „ვინც დამინახა სიზმარში, ნამდვილად დამინახა, ჭეშმარიტად, ეშმაკს არ შეუძლია მიიღოს ჩემი ფორმა“. (შეთანხმებული) ვინც დაინახავს მას სიზმარში მიუთითებს სიკეთეზე და ვინც დაინახავს მას სხვა გარეგნობით და არა ისე, როგორც აღწერილია სუნნაში, ან დაინახავს, რომ უბრძანებს მას ცოდვისკენ, მაშინ ეს არეული სიზმარია საკუთარი თავისგან ან ეშმაკისგან.

ხოლო სიკეთე არის შუამავალზე ﷺ მიყოლაში.

შემდეგ იცოდეთ, რომ ალლაჰმა გიბრძანათ დალოცოთ და მიესალმოთ მის შუამავალს...

خطبة الجمعة

١٤٤٥/٢/١٦ هـ | 2023/9/1 م

فضيلة الشيخ

د. عبد المحسن بن محمد القاسم

إمام وخطيب المسجد النبوي الشريف

بعنوان

الرؤيا في المنام

مترجمة باللغة الجورجية

a-alqasim.com